2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

დოკუმენტი წარმოადგენს შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. დოკუმენტში მოცემულია კონკრეტული ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით - მიზნის, ამოცანებისა და ინდიკატორების შესაბამისად.

მიზანი - კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისთვის ზრუნვა

1.1. ამოცანა - ინსტიტუციური განვითარება

„ინსტიტუციური განვითარების“ სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ვადების დაცვით შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების წესი და პროფესიული განათლების მასწავლებლის დაჯილდოვების წესი, სასწავლებლის დირეტორის ბრძანება N 01/61 (19.09.2023).

ასევე, გადამტკიცდა "სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია", თანახმად სასწავლებლის დირეტორის ბრძანებისა 01/95 (02.12.2024), იმგვარად, რომ სამოქმედო გეგმის ციკლურ პერიოდად განისაზღვრა არა სასწავლო წელი, არამედ კალენდარული წელი.

საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში 2024 წლის ოქტომბერში, შედგა არარატის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლების ვიზიტი სასწავლებელში და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

1.2. ამოცანა - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება

ამოცანის ფარგლებში, ვადების დაცვით მოხდა სასწავლებლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ფორმების შევსება. ასევე, ვადების დაცვით შემუშავებული და სასწავლებლის დირექტორის მიერ 2024 წლის 14 აგვისტოს 01/53 ბრძანებით იქნა დამტკიცებული მომდევნო, 2024-2025 სასწავლოს წლის სამოქმედო გეგმა.

იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლებელმა გადაამტკიცა "სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია" (ციკლური პერიოდის კალენდარულ წელზე მორგების მიზნით), 2024 წლის ბოლოს მოხდა ახალი 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის 01/106 ბრძანებით.

მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

2.1. ამოცანა - პროგრამების სპექტრის გაფართოება

2024 წლის ივლისის თვეში სასწავლებლის პროგრამების კოორდინატორთან და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენჯერთან გადაიგზავნა, დაიდენტიფიცირებული ორი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაო ვერსია, შემდგომ პერიოდში დარგის

სპეციალისთან სამუშაოდ: "პარაფარმაციის კონსულტანტი" (მომზადების, IV დონე) და "ფარმაციის კონსულტანტი" (გადამზადების, V დონე).

გარე დარგის ექსპერტის მხრიდან, ავტორიზაციაზე შეტანამდე პროგრამული ნაწილის გადახედვის გახანგრძლივებული პროცედურის გამო, გადავადდა ამ პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.

2.2. ამოცანა - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარება

სფეროს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსს დაემატა ახალი სასწავლო მასალა. ადამიანური რესურსის მდგრადობის გაძლიერების თვალსაზრისით, აყვანილ იქნა დამატებით ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე გადახედილ იქნა და დამატებით შემენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/მოდულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

სასწავლებლის პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმანენტულად უტარდებოდათ ტრენინგები/ვორქშოპები თანამედროვე სწავლების მეთოდებზე, შეფასებასა და პროფესიულ საკითხებზე.

2.3. ამოცანა - სასწავლო პროცესის დაგეგმვა- ორგანიზების მექანიზმების გაუმჯობესება

შუალედური შეფასების საფუძველზე გადაიხედა მრავალკომპონენტიანი შეფასების მექანიზმი (პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტი, კომისიის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქოს)" პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების, სინთეზური ანგარიში.

პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/შედეგების შეფასებისთვის 2024 წლის ოქტომბრიდან დაინერგა ელექტრონული ტესტირება www.testmoz.com ონლაინ პლატფორმის გამოყენებით

მიზანი - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება

3.1. ამოცანა - პროფესიული სტუდენტების აკადემიური და კარიერული მხარდაჭერა

ახალ სასწავლო წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარდა შეხვედრები მათი უფლებების, მოვალეობების და ვალდებულებების გაცნობის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და მასთან დაკავშირებული რეგულაციების თაობაზე.

ჩატარდა 2 სტუდენტური კონფერენცია:

2024 წლის 13 მარტს - სტუდენტური მცირე კონფერენცია (შემაჯამებელი პრეზენტაციები): პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ფარმაცია (სააფთიაქო) მოდულების "სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 1" და "სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2" -ის ფარგლებში. მოხსენებები შეეხებოდა, ფარმაკოლოგიის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს (მედიკამენტებს) და სამკურნალო მცენარეებს.

2024 წლის 3 აპრილს ჩატარდა, სტუდენტური კონფერენცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ფარმაცია (სააფთიაქო). კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები: სეზონური ალერგია;

ძირითადი ალერგენები; არის თუ არა ალერგია სახიფათო; ალერგიის სამკურნალო მედიკამენტები; ანტიჰისტამინური, ალერგიის და ქავილის საწინააღმდეგო საშუალებები; გულის დაავადებები და მათი სამკურნალო საშუალებები; ჰიპერტონული დაავადების პირველი რიგის პრეპარატები; იშემიური დაავადება და მისი სამკურნლო პრეპარატები; ინფარქტის სამკურნალო პრეპარატები; სამკურნალო მცენარეები.

ასევე, დასაქმების პირობების/პერსპექტივების გაცნობის, კარიერული მომსახურების მხარდაჭერის, დასაქმების შემდგომ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, პერიოდულად ხდებოდა დამსაქმებლების წარმომადგენლების შეხვედრები სტუდენტებთან.

პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის მიერ, პერმანენტულად ხდებოდა არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება, პროფესიულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს შორის სასწავლებელში გავრცელებული საკომუნიკაციო არხებით.

ასევე, პერმანენტულად მიმდინარეობდა კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზის წარმოება.

3.2. ამოცანა - საგანმანათლებლო სივრცის მიღმა პროფესიული სტუდენტების მომსახურების განვითარება

„საგანმანათლებლო სივრცის მიღმა პროფესიული სტუდენტების მომსახურების განვითარების“ სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში მოეწყო მრავალი აქტივობა:

- ❖ ექსტრაკურიკულური აქტივობა ,,ცოდნა და სანახაობა'', ,,ბლიც კითხვები'', „ინტელექტუალური ვიქტორინა'';
- ❖ სპორტულ - გასართობი ექსტრაკურიკულური აქტივობა ,, ვიზიტი ბოულინგის ცენტრში'';
- ❖ სასწავლებელში გამართული გამომცემლობა "ინტელექტის" და “არტანუჯის” წიგნების გამოფენა-გაყიდვა;
- ❖ პროფესიული სტუდენტები იმყოფებოდნენ, საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე, რომელიც გაიმართა სლოგანით „წიგნით ევროპისკენ“ და "თბილისის წიგნის დღეების გამოფენაზე";
- ❖ სასწაველებლში გამართული ქალ მეწარმეთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა;
- ❖ ექსკურსია/ვიზიტი -მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში;
- ❖ ექსკურსია/ვიზიტი - “გარდენია შევარდნაძის ბაღში“;
- ❖ დედაენის დღესთან დაკავშირებით, მოდულის „ქართული ენა B1“ -ის პროფესიული სტუდენტებისთვის) ექსკურსია/ ვიზიტი - დედაენის ბაღში;
- ❖ ვორქშოფი თემებზე: ონლაინ სივრცეში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები, კიბერუსაფრთხოება, თავდაცვის მექანიზმები.

წლის ბოლოს პროფესიული სტუდენტებისთვის დაორგანიზდა საახალწლო ღონისძიება. ასევე წინასაახალწლოდ, სასწავლებლის პროფესიული სტუდენტები ესტუმრნენ მოხუცებულთა სახლს - „სიკეთის ლამპარს“, ფონდის ბენეფიციარებს გადასცეს ტკბილეული და პირველადი საჭიროების სამედიცინო პროდუქცია და შეეცადნენ ხანდაზმულთათვის საახალწლო განწყობის შექმნას.

ღონისძიების მიზანი იყო, სასწავლებლის პროფესიულ სტუდენტთა, მოქალაქის როლის - უფლებების, მოვალეობების, თანაგანცდის და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრების

მხარდაჭერა საზოგადოების წინაშე. აგრეთვე, სასწავლებლის პროფესიული სტუდენტების დამეგობრების ხელშეწყობა.

მიზანი - ადამიანური რესურსების გაძლიერება

4.1. პერსონალის მართვის და შეფასების პროცესების დანერგვა

გადაიხედა და გაუმჯობესდა თვითშეფასება/შეფასების კითხვარები, ჩატარდა პერსონალის შრომითი კმაყოფილების გამოკითხვები. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სასწავლებლის რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი და აგრეთვე არქივისა და მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოების სპეციალისტი მივლინებული იქნენ ტრენინგზე - „საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის სალექციო კურსი“;
- დაორგანიზდა, სასწავლებლის პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის ვიზიტი - ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი - ICDC მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე, თემა: "სტაჟირების და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა სტუდენტებისთვის";
- დაიგეგმა, საბიბლიოთეკო მომსახურების და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტის დასწრება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის წიგნების განახლების პროცესი, გაციფრულობის პროცესი და სხვა;
- ასევე დაიგეგმა, საბიბლიოთეკო მომსახურების და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტის მონაწილეობა საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებულ ტრენინგზე "ფინანსური განათლება ბიბლიოთეკარებისთვის";
- დაიგეგმა, შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლების დასწრება, კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ დაორგანიზებულ ტრენინგზე, თემა: "ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება კოლეჯებისათვის";
- ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის მიერ თანამშროლებს ჩაუტარდათ ტრენინგი, თემაზე: "DISC და NPL მეთოდები და მათი გამოყენება"

4.2. პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა

ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის მიერ თანამშრომლებთან ჩატარდა შეხვედრა თემაზე: "ეფექტური კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის განვითარების პროცესში";

პროფესიული მასწავლებლებისათვის და სასწავლო პროცესის მიმართულებით ადმინისტრაციასთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სასწავლო მიმართულებით დირექტორის მოადგილის მიერ, თემა: საგანმანათლებლო სისტემაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; სტუდენტების მოტივაციაზე ზრუნვა; სტუდენტების დასწრების მონიტორინგი; ლექციებზე დასწრება/შეფასება; შეფასება - შედეგების დადასტურების პროცესი და მისი რეგულაციები; სტუდენტების დისციპლინარული გადაცდომები; სასწავლებლის კულტურა და ღირებულებები; გუნდური მუშაობის პრინციპები და უპირატესობები და სხვა.

ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის მიერ თანამშრომლებს ჩაუტარდათ შეხვედრა თემაზე: "ეფექტური კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის განვითარების პროცესში";

სასწავლებლის შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლები მივლინებული იყვნენ კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ დაორგანიზებულ ტრენინგზე - თემა: "ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება კოლეჯებისათვის";

მამოტივირებელი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სასწავლებლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ერთობლივი ექსკურსია;

ასევე წლის ბოლოს, ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პერსონალისთვის დაორგანიზდა არაფორმალური ღონისძიება - „საიდუმლო სანტა“

მიზანი - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

5.1. მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის განვითარება

სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდა შეხვედრების ოთახის და კიბის უჯრედის კოსმეტიკური რემონტი, მოეწყო მცირე სტუდენტური სივრცე, შეძენილი იქნა დამატებით ავეჯი და ინვენტარი.

ჩატარდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გეგმიური შემოწმება.

5.2. საინფორმაციო რესურსის გაძლიერება

განახლდა სასწავლებლის ძველი, სტატიკური ვებ-გვერდი და ჩანაცვლდა ახალი ინტერაქტიულით. სასწავლებლის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სარეკლამო ფლაერები დარიგდა საჯარო სკოლებში, აფთიაქებსა და სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში.

სასწავლებლის და პროფესიული განათლების პროფილის სოციალურ პლატფორმებზე მოხდა პროგრამების აღმწერი ტექსტებისა და ფოტოების გავრცელება. სოციალურ ქსელებში ფასიანი რეკლამების განთავსება.

5.3. საქმისწარმოების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა-გამოყენება

განახლდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) მომსახურების ხელშეკრულება. გარეშე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია წარმოებს eFlow-ს საშუალებით. თუმცა, აღნიშნული პერიოდისთვის, ვერ მოხერხდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე სრულად გადასვლა. სასწავლებელში შიდა კორესპონდენცია ჯერჯერობით ისევ მატერიალური სახით იწარმოება.

5.4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მოხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამჯობესება და დამატებითი კომპიუტერების, პრინტერების შეძენა. ასევე,

ვადებშივე მოხდა ახალ სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლებლის დომეინზე ელექტრონული ფოსტების გახსნა.

5.5. ფინანსური მდგომარეობის შეფასება

განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედგენა (საპროგნოზო ბიუჯეტის და რეალური ბიუჯეტების დადარება).

მოპოვებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2 დაფინანსება: სასწავლებლში დანერგილი პროფესიული მომზადების პროგრამის "კლასიკური მასაჟი" დაფინანსებაზე და ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარების ფარგლებში პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა საგრანტო პროექტი.

მონიტორინგისას გამოიკვეთა, შემდეგი:

გადავადდა და მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების დამატებითი პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება;

გადავადდა და მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ორგანიზაციის საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება;

ასევე, გადავადდა „საქმისწარმოების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა-გამოყენების“ სტრატეგიული ამოცანის ქვეშ დაგეგმილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე სრულად გადასვლა.

რეკომენდაციები:

1. სასურველია მეტად გაძლიერდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადამიანური რესურსები;
2. საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ჩატარდეს დამსაქმებლების კმაყოფილების მოკვლევა სასწავლებლის კურსდამთავრებულების კომპეტენციების მიმართულებით;
3. მიზანშეწონილია, დაინერგოს მასწავლებლის შეფასების წესი და დაჯილდოვების წესი;
4. მიზანშეწონილია, გაძლიერდეს სასწავლებლის ცნობადობის, სასწავლებლის საქმიანობის - პიარის მიმართულებით ღონისძიებები და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მიერ წარმოდგენილი იქნას ამ მიმართულებით ხედვა/დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა;
5. სასურველია, მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან ბაზრის სიახლეების გაცნობის მიზნით;
6. მიზანშეწონილია, გააქტიურდეს დაფინანსების ახალი წყაროების და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.